




სარჩევი

შესავალი	2
წევრობა	3
საერთაშორისო წარმომადგენლობა	4
ბანაკვითები	5
ლიცენზირება	6
სასამართლო	9
კონორარის შეგროვება	10
კონორარის ბანანილება-გადახდა	14
საგოგადოებრივი ცნობიერება	17
სამომავლო გეგმები	19





შესავალი

2018 წელი, ასოციაციის საქმიანობის ეფექტიანობის კუთხით საკმაოდ შედეგიანი და ნაყოფიერი იყო. ასოციაცია აქტიური იყო როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. იგი კვლავ ჩართული იყო საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების პროცესში. წლის განმავლობაში, ასოციაციის ორგანიზებითა და მონაწილეობით, არაერთი კონფერენცია, სემინარი და სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ასოციაციის საქმიანობა ჩვეული სიხშირით შექდებოდა მასმედიის საშუალებებით.

2018 წელს გაიზარდა იმ უფლების მფლობელთა რაოდენობაც, რომელსაც ასოციაცია წარმოადგენს. პირველად ასოციაციის ისტორიაში, საერთაშორისო მუსიკალური გამომცემლობების რეპერტუარის რეგისტრაცია განხორციელდა. გაიზარდა შეგროვებული და გადახდილი ჰონორარის ოდენობა. განახლდა ჰონორარის განაწილების პროგრამა და დაიწყო მომიჯნავე უფლებების მფლობელთათვის ჰონორარის განაწილების პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა. ისევე როგორც გასულ წლებში, ჰონორარის შეგროვების და გადახდის მაჩვენებელმა გადააჭარბა წინა წლის მაჩვენებელს.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, დაისახა მომავალი წლის გეგმები როგორც ახალი სექტორების ლიცენზირების კუთხით, ასევე ასოციაციის წინაშე მდგარი, სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევების გადაჭრის მიმართულებით. საერთო ჯამში, წლის განმავლობაში, ასოციაციამ ინტენსიური მუშაობა გასწია კოლექტიური მართვის ყველა მიმართულებით.

წევრობა

2018 წელი ასოციაციის რეპერტუარის მზარდი ტენდენციით გამოირჩეოდა. ასოციაციამ არაერთი ახალი წევრი შეიძინა და, შესაბამისად, არაერთი ახალი საავტორო და მომიჯნავე უფლებით დაცული ობიექტი დარეგისტრირდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2018 წელს, პირველად მოხდა ოცამდე საერთაშორისო მუსიკალური გამომცემლობის, მათ შორის ისეთი წამყვანი საერთაშორისო გამომცემლობების, როგორც არის SONY/ATV, BMG, EMI, რეპერტუარის ასოციაციაში დარეგისტრირება. ამასთან, ასოციაციის ადგილობრივი რეპერტუარი კვლავ წარმატებით ინტეგრირდა საერთაშორისო ბაზებში. მოსალოდნელია, რომ მზარდი ტენდენცია შენარჩუნდება 2019 წელსაც.



ადგილობრივ წევრთა რაოდენობამ 2018 წლის ბოლოსთვის 1939 საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელი შეადგინა.



საერთაშორისო წარმომადგენლობა

ისევე როგორც წინა წელს, 2018 წელსაც გაფორმდა ახალი ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები. სულ, საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმდა ექვსი ახალი ხელშეკრულება, საიდანაც ხუთი საავტორო უფლებებით დაცულ მუსიკალურ ნაწარმოებს და ერთი მომიჯნავე უფლებების სფეროს ეხება.

საავტორო უფლებები

SAZAS - სლოვენია

SESAC - აშშ

HFA - აშშ

SABAM - ბელგია

UACRR - უკრაინა

მომიჯნავე უფლებები

PPL - დიდი ბრიტანეთი

2018 წლის ბოლოსთვის ასოციაციას გაფორმებული ჰქონდა 178 ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს მსოფლიოს 150-ზე მეტი ქვეყნისა და ტერიტორიის, 8 მილიონზე მეტი საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელის რეპერტუარს.

ბანაკვითები

2018 წელს ასოციაციის განაკვეთებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შესულა. აქცენტი აქტიურ ლიცენზირებასა და შეგროვებული ჰონორარის განაწილებაზე იყო გადატანილი. თუმცა, გარკვეული განაკვეთები მაინც განახლდა. ცვლილებები შეეხო განაკვეთებს, რომლებიც ვრცელდება საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენებაზე შემდეგ სემენტებში: HoReCa (კვების და სასტუმრო დაწესებულებები), რეკლამა, მობილური კავშირგაბმულობა, მასობრივ-სანახაობითი და სპორტული ღონისძიებები და სავაჭრო ცენტრები. გარდა ამისა, მიღებული იქნა ახალი განაკვეთი მსუბუქი კონსტრუქციის კვებისა და სეზონურ დაწესებულებებში მუსიკალური ნაწარმოების/ფონოგრამის საჯარო შესრულების შესახებ. განაკვეთების ოპტიმიზაცია უფრო ეფექტურს გახდის საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა მიერ ჰონორარის მიღების პროცესს.



ლიცენზირება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2018 წელს მიღებული იქნა ახალი განაკვეთი სეზონური დანესებულებებისათვის, შესაბამისად, ასოციაციის საქმიანობა აქტიური იყო სეზონური დანესებულებების ლიცენზირების კუთხით. თუმცა, ასოციაციამ კვლავ ინტენსიური სამუშაო გასწია ყველა სხვა სეგმენტის ლიცენზირების მიმართულებითაც. განსაკუთრებით გამოსარჩევია მომიჯნავე უფლებების სფეროს ლიცენზირების მზარდი ტენდენცია. გარდა ადგილობრივი ბაზრისა, სიახლეები იყო იმ საერთაშორისო მოსარგებლეების ლიცენზირებისას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ავრცელებენ საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებებს. გაიცა ლიცენზია Yandex Music-ზე, დასკვნით ფაბაშია მოლაპარაკება Caltex Music-თან, ხოლო Deezer-თან არსებული ლიცენზია განახლდა, რომლის თანახმადაც ლიცენზიის ვადა ავტომატურად გაგრძელდება ყოველი წლის დასრულებისას.

ლიცენზირების საერთო მაჩვენებელი




ლიცენზირების მაჩვენებელი თვეების მიხედვით

	თბილისი	რეგიონები	ჯამი
იანვარი	24	8	32
თებერვალი	51	12	63
მარტი	63	7	70
აპრილი	49	7	56
მაისი	46	20	66
ივნისი	36	16	52
ივლისი	66	14	80
აგვისტო	22	15	37
სექტემბერი	23	13	36
ოქტომბერი	33	9	42
ნოემბერი	33	10	43
დეკემბერი	41	12	53




ლიცენზირების მარჯვენაელი სებმენტების მიხედვით



სასამართლო

ლიცენზიების გაფორმებასთან ერთად, ასოციაციის მხრიდან ჰონორარის მიღების უფლების დაცვა ხორციელდება მოსარგებლეებთან სასამართლო დავების მეშვეობითაც. ასოციაციის მხრიდან დავები წარმოებს ისეთ მოსარგებლეებთან, რომლებიც საავტორო და მომიჯნავე უფლებით დაცულ ობიექტებს იყენებენ ნებართვისა და/ან შესაბამისი ჰონორარის გადახდის გარეშე, ასევე, ისეთი მოსარგებლეების წინააღმდეგ, რომლებიც არ ასრულებენ არსებული ლიცენზიის პირობებს.




ჰონორარის შეგროვება

ასოციაციის მიერ, წლის მანძილზე გაცემული ახალი ლიცენზიების ფონზე, გასულ წელს შეგროვებული ჰონორარის ოდენობამ დაახლოებით 12%-ით გადააჭარბა წინა წლის მაჩვენებელს. აღნიშნული მატების ტემპის შენარჩუნება იგეგმება 2019 წელსაც.

ჰონორარის შეგროვების საერთო მაჩვენებელი



კონორარის შემროვების მარკენაბელი თვეების მიხედვით



კონორარის შემოვების მარჯვენაელი სამმენტების მიხედვით

HoReCa 3 068 330.49	ტელესამაუწყებლო ორგანიზაცია 467 745.51	სატრანსპორტო ოპერატორი 641 636.82
რადიოსამაუწყებლო კომპანია 137 620	თეატრი 207 518	კინოთეატრი 26 600.54
მასობრივ-საინფორმაციო ლონისძიება 148 273.10	რეკლამა 111 848.44	ბავშვებზე-რეკლამისწერება 33 222.40
საჯარო თხოვება 67 432.72	ინტერნეტ სტრუქტურები 50 580.75	რინგტონი/რინგბაქტონი 5 595.17
	საზღვარგარეთი 127 930.41	

ჰონორარის შეგროვების მარკენაბელი
საზღვარგარეთის კარტნიორი ორგანიზაციების მიხედვით

ACUM (ისრაელი)	1 276.83	●	LATGA (ლიეტუვა)	270.54
ADAGP (საფრანგეთი)	6 305.92	●	NUOVO IMAIE (იტალია)	2 268.59
AKKA/LAA (ფინანსია)	249.32	●	PRS (დიდი ბრიტანეთი)	5 265.53
ARCO VERLAG GMBH (გერმანია)	1 429.85	●	RAO (რუსეთი)	26 668.5
ARMAUTHOR (სომხეთი)	2 706.92	●	SACEM (საფრანგეთი)	6 667.75
BUMA (ნიდერლანდები)	118.99	●	SGAE (ესპანეთი)	252.33
EAU (ესტონეთი)	2 163.04	●	SOFAM (ბელგია)	5 752.97
GEMA (გერმანია)	14 633.18	●	HANS SIKORSKI (გერმანია)	16 521.54
HDS ZAMP (ხორვატია)	273.36	●	SOKOJ (სერბეთი)	692.83
IMRO (ირლანდია)	347.32	●	STIM (შვედეთი)	724.71
JASRAC (იაპონია)	11 937.96	●	SUISA (შვეიცარია)	7 976.53
KAO (ყაზახეთი)	1 955.35	●	TEOSTO (ფინეთი)	7 109.06
KODA (დანია)	2 892.06	●	ZAIKS (პოლონეთი)	1 469.43

ჰონორარის განაწილება-გადახდა

2018 წელს ასოციაციამ აქტიური სამუშაო გასწია შეგროვებული ჰონორარის განაწილება-გადახდის კუთხით. გარდა განაწილების არსებული პროგრამებისა, ასოციაციაში დაიწყო ახალი სისტემების დანერგვაც.

2018 წელს განახლდა საავტორო ჰონორარის განაწილების პროგრამა CoSIS-ი. ასოციაცია უკვე წლებია წარმატებით იყენებს ამ პროგრამას, თუმცა განახლების შედეგად ჰონორარის განაწილება უფრო ეფექტურად განხორციელდა.

ასოციაციის მიერ კვლავ გამოიყენება სპეციალური კომპიუტერული პროგრამა VERICAST-ი, რომელიც ქართული ტელეარხების ეთერში გასული მუსიკალური ნაწარმოების ამოცნობისა და სრულყოფილი პროგრამის წარმოებისათვის დაინერგა. ამ პროგრამის საშუალებით სისტემაში ასევე რეგისტრირდება ქართული ნაწარმოებებიც.

ასოციაციის საქმიანობა ჰონორარის განაწილება-გადახდის მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანი მომიჯნავე უფლებების მფლობელთა კუთვნილი ჰონორარის განაწილების კუთხით იყო. გარდა იმისა, რომ წლის განმავლობაში განაწილდა ქართველი მომიჯნავე უფლებების მფლობელთა კუთვნილი ჰონორარი, ასევე განხორციელდა შემსრულებელთა უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების საბჭოს (SCAPR) მიერ შემუშავებული, შემსრულებელთა საერთაშორისო ბაზის (IPD) დანერგვა. აღნიშნული სისტემა საშუალებას აძლევს ასოციაციას ჰონორარი გაუნაწილოს უცხოელ მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს და ამასთან, დაარეგისტრიროს ამ ბაზაში ქართველი მომიჯნავე უფლებების მფლობელებიც, რათა მათ შესახებ ინფორმაცია მიენოდოთ საზღვარგარეთის კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებს. IPD-ის საშუალებით ჰონორარის განაწილება განხორციელდება 2019 წლის პირველ ნახევარში.

სულ ჰონორარის სახით გადახდილია 2 574 045.51 ლარი

ადგილობრივი
854 წევრისთვის
გადახდილია
1 190 613.56 ლარი

საზღვარგარეთის
23 პარტნიორი
ორგანიზაციისთვის
გადახდილია
1 383 431.95 ლარი

სახელმწიფო ბიუჯეტში
გადახდილია
1 226 842.92 ლარი.
მათ შორის,
685 877.20 ლარი დღგ-ს,
537 765.72 ლარი
საშემოსავლო და
3200 ლარი ქონების
გადასახადის სახით



ჰონორარის გადახდის მაჩვენებელი საზღვარგარეთის პარტნიორი ორგანიზაციების მიხედვით


ASCAP (აშშ)	318 016.62	●	SGAE (მსპანეთი)	12 685.96
SESAC (აშშ)	9 582.32	●	SUISA (შვეიცარია)	6 007.04
BMI (აშშ)	322 442.51	●	AKM (ავსტრია)	2 558.85
AMRA (აშშ)	2 931.07	●	STIM (შვედეთი)	19 347.49
JASRAC (იაპონია)	6 450.37	●	GEMA (გერმანია)	32 409.91
PRS (დიდი ბრიტანეთი)	326 198.27	●	RAO (რუსეთი)	91 671.31
KODA (დანია)	3 881.35	●	SACM (მექსიკა)	1 600.70
BUMA (ნიდერლანდები)	4 672.11	●	TONO (ნორვეგია)	2 486.28
SIAE (იტალია)	30 897.01	●	IMRO (ირლანდია)	1 781.92
SACEM (საფრანგეთი)	60 491.02	●	SABAM (ბელგია)	26 154.07
SACD (საფრანგეთი)	8 506.04	●	SOCAN (კანადა)	31 310.82
GMI RIGHTS MANAGEMENT (20 საერთაშორისო ბაზოზმცემლობა)	61 348.91	●		

საზოგადოებრივი ცნობიერება

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ასოციაციის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ასეთი საქმიანობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში დარღვევათა შემცირებას და შესაბამისად, ჰონორარის ეფექტურ შეგროვებას.

2018 წელს ასოციაციის საქმიანობა ფართოდ შექცდებოდა სხვადასხვა მედია საშუალებებით. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ასოციაციამ არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელა და არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია ინტენსიური მუშაობა საგანმანათლებლო მიმართულებით. გასულ წელს, ასოციაციის მიერ გამოიცა ქართულ რეალობაში პირველი ზღაპრების წიგნი საავტორო უფლებებზე, სახელწოდებით „მემე, მემე, გვაპოვნინე“. წიგნი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიისა და საკრებულოს ხელშეწყობით, უსასყიდლოდ გავრცელდა სკოლების დაწყებით კლასებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საქართველოს მასშტაბით. განსაკუთრებული სიახლეა ისიც, რომ ბავშვებს შეუძლიათ წიგნის არა მარტო წაკითხვა, არამედ მისი ყურება და მოსმენაც. ეს შესაძლებელია სპეციალური აპლიკაციის, OVERLY-ს ტელეფონში ან პლანშეტში ჩამოტვირთვის მეშვეობით და მათი, სპეციალური სიმბოლოებით აღნიშნული ზღაპრის გმირებთან მიახლოებით, რა დროსაც გმირები „ცოცხლდებიან“ და თავად უამბობენ ბავშვებს ზღაპარს. წიგნი ხელს შეუწყობს ბავშვებისთვის საავტორო უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და ადრეული ასაკიდან ინტელექტუალური საკუთრების ლეგალური მოხმარების კულტურის ჩამოყალიბებას.



ასევე განსაკუთრებით აღსანიშნავია ასოციაციის მიერ, პირველად ქართულ ტელევიზორულ ტელევიზორულ საავტორო უფლებების შესახებ გადაცემების ციკლის შექმნა. გადაცემა „ავტორკრატია“ ტელეარხ „არტარესთან“ თანამშრომლობით შეიქმნა. 12 გადაცემის განმავლობაში როგორც სახელმწიფოს, ასევე ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები საუბრობდნენ საავტორო უფლებებზე და მის მნიშვნელობაზე, ამ სფეროში არსებულ პრობლემატიკასა და მისი გადაჭრის გზებზე. „ავტორკრატია“ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საავტორო უფლებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ამ პროცესში უფლების მფლობელების უშუალო ჩართულობას.

2018 წლის აპრილში, ასოციაციის მიერ, რეპროდუცირების უფლების ორგანიზაციათა საერთაშორისო ფედერაციის (IFRRO) ფინანსური დახმარებით და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, ორგანიზებული იქნა სემინარი ლიტერატურული ნაწარმოებების გამომცემლებისა და ბიბლიოთეკებისათვის. სემინარის თემა იყო ლიტერატურული ნაწარმოებების სფეროში საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვა, მათ შორის ლიტერატურული ნაწარმოებების მფლობელობის ფორმით გადაცემის (Public Lending) სფეროს ლიცენზირება.

გასულ წელს, ასოციაციამ კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებას უმასპინძლა. საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციის, ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციის (CISAC) გადანყვეტილებით, აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სფეროში მსოფლიო კომიტეტი თბილისში ჩატარდა. კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოში, აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების 80-მდე წარმომადგენელმა.

ასევე, კვლავ წარმატებით ჩატარდა უკვე ყოველწლიური სემინარი მოსამართლეებისა და ჟურნალისტებისათვის. სემინარი ტარდება აშშ-ის საელჩოს სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) დაფინანსებით. სემინარი ტრადიციულად ბათუმში ჩატარდა და მასში, ასოციაციის გარდა, მონაწილეობა მიიღეს ამერიკელმა და გერმანელმა მოსამართლეებმა,



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებმა.

ასოციაციამ 2018 წელსაც მიიღო მონაწილეობა საავტორო უფლებების დაცვისა და კოლექტიური მართვის სფეროში, ევროპის იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) საზაფხულო სკოლის ფარგლებში გამართულ კონფერენციაში. კონფერენცია განკუთვნილი იყო როგორც ქართველი, ასევე ევროპის სხვა ქვეყნების სტუდენტებისათვის.


გარდა ზემოაღნიშნულისა, ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, საქვეუწყებო დაწესებულებასა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომელთა დახმარებითაც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება.

სამომავლო გეგმები


2019 წელს ასოციაცია მიზნად ისახავს გააფართოვოს მომიჯნავე უფლებების სფეროში არსებული მოსარგებლეების არეალი და დაიწყო ახალი სეგმენტების, მათ შორის აუდიოვიზუალური სფეროს ლიცენზირება. ასევე პროცესშია და 2019 წელს დასრულდება მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ჰონორარის განაწილების უახლესი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების დანერგვა, რომლითაც უფრო ეფექტურად მოხდება ჰონორარის განაწილება. ასოციაცია აპირებს კვლავ აქტიური იყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების კუთხითაც. ყველაფერმა ამან, სხვა აქტივობებთან ერთად უნდა უზრუნველყოს არსებული განვითარების ტემპის შენარჩუნება.

შეღარებითი ანალიზი


წმვრთა რაოდენობა



შებრომებული კონორარი



გადახდილი ჰონორარი



გადახდილი ჰონორარი ნაერთა რაოდენობის მიხედვით

